FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

ოლექსანდრ დემიანენკოს ისტორია

ოლექსანდრ დემიანენკო არის რეჟისორი და მუსიკოსი, ის უკრაინის მოქალაქეა და 12 წელია საქართველოში ცხოვრობს, ამჟამად კერძო ბიზნესითაა დაკავებული. მას ბრალად ედება წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციელის შეურაცხყოფა.

დემიანენკო 2024 წლის 28 ნოემბერს დააკავეს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ ჭიჭინაძის ქუჩაზე. ოლექსანდრის დაკავების დროს, მშვიდობიანი მომიტინგეების რაოდენობა პიკს აღწევდა, შესაბამისად, ქუჩები ხალხის სიმრავლის გამო გადაკეტილი იყო. დემიანენკო სპეცრაზმის კორდონთან ახლოს იდგა, რა დროსაც კორდონიდან გაუფრთხილებლად სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები გამოვარდნენ, ფიზიკურად იძალადეს მასზე და სასტიკი მეთოდების გამოყენებით დააკავეს.

ოლექსანდრ დემიანენკოს დაკავების პროცესში ათობით სპეცრაზმელი გაუსწორდა ფიზიკურად. კორდონში შეთრევის შემდეგ, ცემისას მან ორჯერ დაკარგა გონება. ურტყამდნენ სახისა და ტანის არეში, რის შედეგადაც აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები, ჩაუმტვრიეს კბილები, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. აღნიშნულის შემდეგ იგი ჩასვეს მანქანაში და საბოლოოდ, გადასცეს პატრულ - ინსპექტორებს. მრავლობითი მძიმე ფიზიკური დაზიანებებით, ოლექსანდრი პოლიციელებს დაახლოებით 3 საათის განმავლობაში სხვადასხვა ავტომობილში ჰყავდათ გაჩერებული. მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ ის პირდაპირ ინგოროყვას კლინიკაში მოათავსეს. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, ფიზიკური ძალადობის შედეგად მან მიიღო თავის ტვინის შერყევა, სკალპის ზედაპირული ტრავმა, სახის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, ის 35 საათის განმავლობაში იმყოფებოდა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო, დაყოვნების შემდეგ ხელწერილის საფუძველზე გაწერეს სახლში.

ოლექსანდრ დემიანენკოს ისტორია

სასამართლოში, ოლექსანდრ დემიანენკოს საქმე განიხილა მოსამართლე ნინო ენუქიძემ. დაკავებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო ოლექსანდრის რეალური დამკავებელი, ამასთანავე, მათი ჩვენებები არ იყო თანმიმდევრული და ეწინააღმდეგებოდა ფაქტობრივ გარემოებებს. შსს-ს მხრიდან საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ობიექტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილ იქნა დაკავების ამსახველი ვიდეომასალა, მოსამართლემ მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე ოლექსანდრ დემიანენკო ბრალდებულად სცნო სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველ ნაწილში და სახდელის სახით 2,000₾-იანი ჯარიმა შეუფარდა.

არსებული ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. დაზარალებული გამოიკითხა საგამოძიებო სამსახურში და ჩაუტარდა ექსპერტიზა.

სამწუხაროდ, საქმეში არსებული ვიდეომასალის მიუხედავად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დღემდე არ მომხდარა ამ პოლიციელების იდენტიფიცირება, საქმის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.